ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
ოქმი N7

დაბა ქედა 24 ივლისი, 2024 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 12:30 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ვაჟა აბულაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი;
ლევან ვერძაძე -კომისიის წევრი;
გოჩა გორგილაძე - კომისიის წევრი;
მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი;
მარინა ბარამიძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა:
დავით სირაბიძე - კომისიის წევრი.
შორენა კარანაძე- კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდა:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

24.07.2024 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	მარინა ბარამიძე	კომისიის წევრი	
3	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	
4	გოჩა გორგილაძე	კომისიის წევრი	
5	რეზო თურმანიძე	კომისიის წევრი	
6	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
7	დავით სირაბიძე	კომისიის წევრი	
8	შორენა კარანაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის-წესრიგი:

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გოჩა ჟღენტისთვის გარდაცვალების გამო საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ;

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

2. „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე.

1. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გოჩა ჟღენტის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია და განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 43-ე მუხლის „ზ“ პუნქტის, „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის N6 დადგენილების მე-4 მუხლის ,,ზ“ პუნქტსა და მე-10 პუნქტის თანახმად, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია ვალდებულია გამოითხოვოს ინფორმაცია სახელმწოფო სერვისების განვითარების სააგენტოდან. სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ მიმდინარე წლის 17 ივლისს გაგზავნა წერილი, საკრებულოს წევრის გოჩა ჟღენტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მოეწოდებინათ ოფიციალური დოკუმენტი - გარდაცვალების მოწმობა. 2024 წლის 18 ივლისს სახელმწოფო სერვისების განვითარების სააგენტომ საკრებულოს მიაწოდა საკრებულოს წევრის - გოჩა ჟღენტის გარდაცვალების მოწმობა, სადაც დასტურდება, რომ გოჩა ჟღენტი გარდაიცვალა 2024 წლის 08 ივლისს, რასაც ცნობად მიიღებს საკრებულო და მოქმედი კანონმდებლობით გატარდება ღონისძიებები.

2. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 ივნისის N:გ-95.95241804 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე“. განკარგულების შესაბამისად, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში მოსაზრების წარდგენის ვადად განსაზღვრული იყო 2024 წლის 23 ივლისი (დღის 18:00 საათამდე).

აღნიშნული საკითხი სამართლებრივი კონსულტაციისათვის გადაგზავნილი იყო (წერილის ნომერი:95-95241831; წერილის თარიღი 01.07.2024) საქართველოს მთავრობის ადმინისტაციის იურიდილ დეპარტამენტში. მიღებული პასუხის თანახმად (წერილის ნომერი: N03-95240303-95; წერილის თარიღი 30.01.2024) საქართველოს მთავრობის ადმინისტაციის იურიდილ დეპარტამენტს საკითხთან დაკავშირებით სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია.

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი განხილული იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 12:30 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **ვაჟა აბულაძე**

ოქმი შეადგინა:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი **ციური ზაქარაძე**